ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №8061037

ნომერი: AR11157554

თარიღი : 20.08.2026

გაცემის თარიღი : 27.08.2026

გაცნობის თარიღი : 31.08.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა, N 81;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ანა ჯიბუტი პ/ნ 01019059631
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ზღვისუბნის დასახლება, XI მიკრო/რაიონი, III კვარტალი, კორპუსი 49, ბინა 48

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღია ავტოსადგომის მოწყობა
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება, პასუხად გაცნობებთ:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) — სარეკრეაციო ქვეზონა, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ გამწვანებულ ტერიტორიებს: პარკს, ღია სათამაშო მოედნებს და მსგავსი ტიპის სხვა ტერიტორიებს; (იხილეთ შესაბამისი ფენა http://maps.tbilisi.gov.ge/ მიწათსარგებლობის გენგეგმა/გამწვანებული ტერიტორიები/რზ-2)
განაცხადით მოთხოვნილი ობიექტი - ღია ავტოსადგომი აღნიშნულ ზონაში საჭიროებს სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას, რისთვისაც საჭიროა პირველ რიგში მიმართოთ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, ოფიციალურ პორტალზე Urban.tbilisi.gov.ge-ზე.

2.ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი : წარმოდგენილ იქნას არსებული სიტუაციის ამსახველ ფოტოსურათზე დამუშავებული ფოტომონტაჟი ზუსტი გაბარიტული ზომების, სიმაღლის ნიშნულებისა და საპროექტო მასალების დატანით

3."ფაილის მიმაგრება -> "ფაილი მიამაგრეთ სურვილის შემთხვევაში:
- შესწორდეს ღობე. გაითვალისწინეთ, რომ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, სამშენებლოდ შეზღუდული მიწის ნაკვეთის (გარდა, ლსზ-სა და რზ1-ს„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, სამშენებლოდ შეზღუდული მიწის ნაკვეთის (გარდა, ლსზ-სა და რზ1-ა) შემოღობვა შესაძლებელია არაუმეტეს 1,8 მეტრი სიმაღლის არაყრუ ღობით; ზემოაღნიშნულის შესაბამისად დაკორექტირდეს საპროექტო დოკუმენტაცია.
- საკადასტრო გეგმაზე სრულყოფილად ასახეთ ღობე

4. წარმოდგენილ იქნას საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა საპროექტო ტერიტორიის სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით, შეთანხმებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან.

5. წარმოდგენილ იქნეს განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი მინდობილობა და მიწის ნაკვეთის მესაკუთრის - სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობა წინამდებარე განცხადებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობაზე.

6. წარმოდგენილ იქნას კ-3 კოეფიციენტის ანგარიში.
გაითვალისწინეთ, ვინაიდან საპროექტო ნაკვეთზე ვრცელდება ორი ზონა (სარეკრეაციო ზონა-2 და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა1) საჭიროა დაცული იქნას ორივე ზონის პირობები.

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 30 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში განახლებული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.
აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება სამსახური უფლებამოსილია აღნიშნული განაცხადი დატოვოს განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის

წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.